

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“

დადგენილება #აგ-0847-20  
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის  
დადების შესახებ

05.03.2020წ.

ქ. თბილისი

**1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):**

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი კომისია;

2. საქმის განხილვის თარიღი: 2020 წლის 5 მარტი.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

ლიანა ბეგანაშვილი    3/ნ 01027014559 ქ.თბილისი, დ.გურამიშვილის გამზ. N82 ბ. 510

**4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:**

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ქ.თბილისში, სოფ ლელუბანში მცხოვრებ ლიანა ბეგანაშვილს (აბ.N 4110422261 აბონენტი ლიანა ბეგანაშვილი) დავალიანების გამო შეუწყდა ელ.ენერჯის მიწოდება, შემოწმებისას 2020 წლის 2 მარტს აღმოჩნდა, რომ ლიანა ბეგანაშვილმა განახორციელა ქსელზე თვითნებური მიერთება, რაზედაც შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N ას008721 სადაც სამართალდამრღვევად მიჩნეულ იქნა ლიანა ბეგანაშვილი (3/ნ 01027014559) ოქმში მითითებული ახსნა-განმარტების თანახმად, ლიანა ბეგანაშვილი აღიარებს, სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს. ლიანა ბეგანაშვილის მიერ განხორციელებული (სამართალდარღვევა) წარმოადგენს პირველ შემთხვევას, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ 2020 წლის 5 მარტს ელექტრონულად გამოგზავნილი ინფორმაციით. ლიანა ბეგანაშვილს ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე, თუმცა სხდომაზე არ გამოცხადდა. გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებისა თუ სხდომის გადადების თაობაზე სამართალდამრღვევს არანაირი განცხადებით არ მოუპირთავს. ამდენად, კომისია უფლებამოსილია განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ საკითხზე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი; შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაცია; შეტყობინება. (საქმეში ასევე წარმოდგენილია აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი #A608219 სადაც აღნიშნულია რომ ადგილი ჰქონდა, შეწყვეტილი ელ.ენერჯის თვითნებურ აღდგენას) რომელთა მეშვეობითაც დგინდება ლიანა ბეგანაშვილის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი. სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია ასკ 240-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. დაცულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“  
კოდექსის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების  
ორთვიანი ვადა.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციულ  
სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით; მე-10; 38-ე; 228<sup>2</sup>-ე; 236-ე; 264-ე; 266-ე  
მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით; 267-ე; 271-ე; 273-ე მუხლებით; სემეკის 12.08.10წ. #14 და  
18.09.2008წ. #20 დადგენილებებით; ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის  
16.09.2009წ. # RU2010009 წესით, 23.05.2019წ. #OR2019028 ბრძანებით და

### და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ლიანა ზეგანაშვილი პ/ნ 01027014559 ცნობილ იქნას ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად  
ა.ს.კ. 96<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს  
ადმინისტრაციული სახდელი – გაფრთხილების სახით.

(სამართალდამრღვევის ჩამდენი პირის დაახელება)

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის  
ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას - 15 000 ლარის ოდენობით.

8. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი  
მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი:

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების  
გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების  
მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის: ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:



ნიკო გოგიტიძე  
კომისიის თავმჯდომარე